შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (10.129)

13 - 20 ივლისი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ძვირადღირებული კვლევების დაფინანსება გაიზარდა

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელმძღვანელობის ინიციატივით, დედოფლისწყაროში რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური მომსახურების პაკეტში 28 მარტს კიდევ ერთი ცვლილება შევიდა და ის მნიშვნელოვნად გაიზარდა.

„ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და ზუსტი დიაგნოზის დასმა წარმატებული მკურნალობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. სწორედ ამიტომ დედოფლისწყაროს მერია მზაობას გამოთქვამს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ძვირადღირებული კვლევების დაფინანსება“-აღნიშნავდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. სოციალური პაკეტის გაზრდის შემდეგ ეს პროგრამა უზრუნველყოფს შემდეგი კვლევების დაფინანსებას: მაგნიტურ - რეზონანსული, კომპიუტერული ტომოგრაფიისა და სხვა ძვირადღირებული (რომლის ერთეულის ღირებულებაც აღემატება 200 ლარს) კვლევის დაფინანსება ან თანადაფინანსება ერთჯერადად, ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის გათვალისწინების გარეშე ეხება შემდეგ კატეგორიებს:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (18 წლამდე ასაკის შშმ პირები, მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირები),

2. ასაკით პენსიონერები;

3. 6–18 წლამდე ბავშვები.

„აღნიშნულ პროგრამაში მიმდინარე წელს განხორციელდა ორი ცვლილება და მომზადდა დადგენილების პროექტები. პირველი ცვლილება შეეხო დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახებისა და ხანდაზმული მოქალაქეებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაზრდას, მეორე ცვლილება კი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (18 წლამდე ასაკის შშმ პირები, მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირები), ასაკით პენსიონერებისა და 6-18 წლამდე ბავშვები) ძვირადღირებული კვლევის დაფინანსებას ან თანადაფინანსების ხელმისაწვდომის გაზრდას ეხება“-ამბობს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლალი ზურაშვილი და პროგრამის პოტენციურ ბენეფიციართა კატეგორიას გვაცნობს.

მწვავე და გეგმიური სტაციონარული მკურნალობის დაფინანსება ან თანადაფინანსება, მაგნიტურ - რეზონანსული, კომპიუტერული ტომოგრაფიისა და სხვა ძვირადღირებული კვლევის ან სამედიცინო მანიპულაციის (ექიმის დანიშნულებით, მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით) დაფინანსება ან თანადაფინანსება ერთი წლის განმავლობაში ორჯერ მომართვის უფლებით და სოციალური ქულის გათვალისწინების გარეშე ეხება შემდეგ კატეგორიებს:

1. ონკოლოგიური პაციენტი;

2. 0–6 წლის ჩათვლით ბავშვები;

3. გლუტენისადმი მგრძნობიარე „ცელიაკიას დიათეზით“ დაავადებული არასრულწლოვანი ბავშვი;

4. სპორტულ ვარჯიშზე, შეჯიბრებაზე ან სპორტულ ღონისძიებაზე ტრავმირებული 18 წლამდე ასაკის სპორტსმენი;

5. ხანდაზმულთა პანსიონატში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო ორგანიზაციებში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში მყოფი ბენეფიციარი.

აღნიშნული პროგრამა თავის მხრივ მოიცავს 16 ქვეპროგრამას. ამ პროგრამების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2024 წელს 1 013 700 (მილიონ ცამეტი ათას შვიდასი) ლარი გამოიყო.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა. „ჩვენს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი სწორედ ამ, ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზნებს ემსახურება“-აცხადებენ დედოფლისწყაროს მერიაში.

ინგა შიოლაშვილი

ახალი საჯარო სკოლა სოფელ ოზაანს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ოზაანში მერის წარმომადგენელთან, ვანო ბენაშვილთან ერთად სოფლის ახალი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასრულების ეტაპზეა და ოზაანში მცხოვრები მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს სკოლის ახალ შენობაში დაიწყებენ. 120 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის შენობა სრულად იქნება აღჭურვილი ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსით და თანამედროვე ინფრასტრუქტურით. სასწავლო სივრცეებთან ერთად თავმოყრილი იქნება საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ექიმის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. სკოლა ადაპტირებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. პროექტის ფარგლებში ამჟამად სპორტული მოედნის მშენებლობა და შიდა კოსმეტიკური რემონტი მიმდინარეობს, რის შემდეგაც განხორციელდება ეზოს კეთილმოწყობა.

სოფელ ოზაანის ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის ღირებულება 3 მილიონ ლარზე მეტია და მას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად
აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (%)	„ბოჯი“ საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი არბოშიკი	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საძოვარი)	2910001 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.03.39.003.056	11 820	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ–ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1.განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი- 300 533 047 (მიწის ნაკვეთის იჯარიდან მიღებული შემოსავალი);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება. სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40
სააუქციონო კომისია

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (%)	„ბოჯი“ საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1	2292 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 493,94 კვ.მ. განაშენიანების ფართი	52.12.32.006.031	26 000	10%	5%	100
2	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 და №2	2778 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 309,33 კვ.მ. №1 და 39,066 კვ.მ. №2 განაშენიანების ფართი	52.12.32.016.008	20 000	10%	5%	100
3	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1	1701 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 292,18 კვ.მ. განაშენიანების ფართი	52.12.32.005.016	12 000	10%	5%	100
4	ქალაქი დედოფლისწყარო	ავტომანქანა ,,ოპელ ომეგა B" გამოშვების წელი-1994 წ.	სახელმწიფო № TLT-756		1 600	10%	5%	100

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (%)	„ბოჯი“ საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	ქ.დედოფლისწყარო რუსთაველის ქუჩა	N1 შენობა-ნაგებობის მეორე სართული	129,6 კვ.მ. (N1 შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი)	52.08.35.255	30 000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ–ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი - 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი) კოდი- 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40
სააუქციონო კომისია

ინფრასტრუქტურული სამუშაო გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად გრძელდება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების ხელმძღვანელთან, ნიკოლოზ აბულაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯში და სოფელ გამარჯვებაში მიმდინარე საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

ქ.დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის მონაკვეთის და სოფელ ხორნაბუჯში აღმაშენებლის ქუჩის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. მისი ჯამური ღირებულება 1 938 360 ლარია.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია სოფელ გამარჯვებაშიც, სადაც მეთორმეტე ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტი გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება. მისი ჯამური ღირებულება 934 766 ლარია.

ქ.დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის მონაკვეთის და სოფელ ხორნაბუჯში აღმაშენებლის ქუჩის, ასევე სოფელ გამარჯვებაში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

სამუშაო შეხვედრა მერიაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიაში სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას მერის მოადგილეები და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

მერმა თათბირზე განვლილი სამუშაო კვირა შეაჯამა და სამომავლო გეგმები განიხილა.

თათბირზე მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლალი ზურაშვილმა კოლეგებს 6 თვის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა.

აღინიშნა, რომ სამსახური ეფექტურად მუშაობს, ამის მიუხედავად, სოციალური პაკეტის გაუმჯობესებაზე მუშაობა ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ხელფასების ზრდა სტატუსის მიუხედავად, საათების მიხედვით...

2024 წლის პირველი ივლისიდან სრული დატვირთვის პირობებში, მასწავლებლების ხელფასი, სტატუსის მიუხედავად, საშუალოდ გაიზრდება 500 ლარით და მეტით. საშუალოდ 500 ლარითა და მეტით ანაზღაურების ზრდა მასწავლებელთა კორპუსის 70%-ს შეეხება.-ეს განცხადება განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ჯერ კიდევ თებერვალში გააკეთა. მოუთმენლად ელოდნენ პედაგოგები ივლისში ხელფასის აღებას.

აი, დადგა ეს დღეც, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორც ჩანს, სახელფასო ზრდაში აღარ არის გათვალისწინებული პედაგოგთა სხვადასხვა სტატუსი და იგი საათობრივი ბადის მიხედვით გადანაწილდა. ამ სქემამ კი უკმაყოფილება გამოიწვია წამყვანსა და მენტორ პედაგოგებში, ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამენ დაწყებითი კლასების პედაგოგებიც, რომელთა საათობრივ ბადეში სპორტის საათები არ ჩაუთვალეს. მოკლედ, ბევრი მითქმა- მოთქმის მიუხედავად და სოციალურ ქსელში ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე, რედაქციამ არაერთი სკოლა და პედაგოგი ჩაწერა, ბევრმა მათგანმა

იდენტიფიცირებისგან თავი შეიკავა ამ ეტაპზე. აღმოჩნდა, რომ განურჩევლად ყველა პედაგოგს გაეზარდა ხელფასი. ზრდამ, მინიმუმ 200 ლარი შეადგინა. შევეცადეთ, რამოდენიმე პედაგოგის აზრი მოგვეტანა მკითხველამდე:

თამარ მანუჩარაშვილი, ***ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი***: „ხელფასების დაანონსებულ მატებას მოუთმენლად ველოდი. გულწრფელად გითხრათ,ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი,მაგრამ ამ ეტაპზე ძალიან გახარებული ვარ, რადგან ხელფასი მომემატა. ხელფასის მატება განპირობებული იყო სტაჟის, საათობრივი დატვირთვის და საგნობრივი ჯგუფის მიხედვით. ჩემი კოლეგების ერთ ნაწილს ასეთი მკვეთრი მატება არ აქვს და გული მწყდება,რადგან მასწავლებლობა ძალიან რთული,საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმეა. თითოეული ჩემი კოლეგა დიდ ენერგიას, დროსა და მონდომებას დებს ამ მნიშვნელოვან საქმეში.ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველა იმსახურებს მოტივაციას, წახალისებასა და საკუთარი საქმის დაფასებას“.

რუსუდან ნადირაშვილი, ***ინგლისური ენის მასწავლებელი***: „500 ლარითა და მეტით მხოლოდ იმ მასწავლებლებს გაეზარდათ შრომის ანაზღაურება, რომლებსაც 18 საგაკვეთილო საათი და მეტი საათობრივი დატვირთვა აქვთ. მოგეხსენებათ, რეგიონებში, მცირეკონტინგენტიან სკოლებში კი თითზე ჩამოსათვლელია ასეთი მასწავლებელი. პედაგოგთა უმრავლესობას მცირე საათობრივი დატვირთვა აქვს, ამიტომ მათ ხელფასები 200 ლარითა და მეტით გაეზარდათ. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ასეთი სახელფასო პოლიტიკით დაზარალდნენ მენტორისა და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლები. ამ სტატუსების მოსაპოვებლად მათ რთული გზა გაიარეს, ბევრი იშრომეს. პირადად მე, როგორც უფროსი მასწავლებელი, არ ვარ უკმაყოფილო. იგივე 15 საათიანი დატვირთვიდან გამომდინარე, მივიღე შესაბამისი დანამატი, ამიტომ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. თუმცა, კარგი იქნება, თუ გადაიხედება სახელფასო პოლიტიკა და ჩვენს კოლეგებს, წამყვან და მენტორ მასწავლებლებს სათანადოდ დააფასებენ“.

რუსუდან გონაშვილი, ***ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი***: „ჩემი აზრით, ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა სისტემამ. დავიწყოთ იქიდან, რომ ეს გადაწყვეტილება და ფორმულა მასწავლებლების მონაწილეობის გარეშე იყო მიღებული. კი ამბობენ, თქვენ შეგეკითხეთო , მაგრამ მე ერთი მასწავლებელიც ვერ ვიპოვე, ვინც უშუალოდ მიიღო ამაში მონაწილეობა. მეორე, სახელფასო ფორმულა და მატება გათვლილია გათანაბრებაზე, რაც მოტივაციას უკარგავს იმ ადამიანებს, რომლებმაც ბევრი იშრომეს და სისტემის ყველა მოთხოვნა პირნათლად შეასრულეს. მესამე, სისტემაში ყველაფერი არის არათანმიმდევრული და არასტაბილური, ფაქტობრივად, სახელფასო ფორმულით სამინისტრომ გვითხრა, რომ არ აინტერესებს საერთოდ, რას ითხოვდნენ აქამდე მასწავლებლებისგან ოლიმპოს მწვერვალზე მყოფი წინამორბედნი, ვინ როგორ და რანაირად აიარა კარიერული წინსვლის კიბეები, როგორ და რა წარმატებას მიაღწია, ვინ რამდენი ღამე გაათენა, მათ წაყენებულ პირობებს რომ მორგებოდა, გაეთვალისწინებინა, შეესრულებინა... ეს კი ისედაც მიმქრალ უნდობლობას უფრო აღრმავებს. ღმერთმა უწყის, კიდევ რა მოესურვებათ და როდის რას შეცვლიან. ერთი რამ ცხადია, ამ გზით თუ გააგრძელეს, ამგვარად თუ უნდა გაიუმჯობესოს მასწავლებელმა მატერიალური მდგომარეობა, მეტ შრომას, სწავლას, განვითარებას, კლასგარეშე აქტივობების ჩატარებას, პროექტებს, არაფორმალურ განათლებასა და კიდევ უამრავს, საკუთარი სახსრებითა და მოტივაციით, (ასე აკეთებდნენ ზუსტად ის “ჩამოლაბორანტებული” მასწავლებლები და ამის გამო უყურებდნენ იქედნურად სხვები, ვისაც ზედმეტად თავის შეწუხება არ უნდოდა, თორემ ცოდნას არავინ უწუნებს მათ) აღარავინ მოინდომებს, რადგან თუ ნდობა არ გაქვს, თუ იცი, რომ ერთ წამში შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაგიყარონ კი არა, ნაკლების კეთებაც დაგიფასონ და წაგახალისონ, ხელსაც აღარ გაანძრევ. ასეთი რყევები შეუქცევადად აზიანებს და აფერხებს სისტემას და რატომ არ ესმით და ხედავენ ამას, ვერ ვხვდები.

აღარ ვსაუბრობ იმაზე, რა იქნება სკოლებში საათების განაწილებისას. რა თანამშრომლობითი გარემო და გამოცდილების გაზიარება? ყველა შეეცდება, რაც შეიძლება მეტი საათი აიღოს. გაჩნდება საათების პრობლემა და დადგება მასწავლებლების შემცირების აუცილებლობა და სკოლაში ახალგაზრდა კადრის შემოსვლის შანსიც მოისპობა. ცალკე თემაა მცირეკონტიგენტიანი სკოლები, მცირესაათიანი და დაწყებითების მასწავლებლები. არ მწყინს არავის მომატებული ხელფასი, მიხარია, ყველას უნდა ემატებოდეს, მაგრამ არა ასე დაუფიქრებლად და გაუაზრებლად. ესაა სულ, ეს მაწუხებს და მაფიქრებს, სხვა არაფერი. გაბრაზებით კი საკუთარ თავზე ვბრაზობ, თუ შეიძლებოდა ნაკლების კეთებისთვის მეტად წახალისება, რას ვიკლავდი თავს ან რატომ არ ვასვენებდი სხვებს?!“.

ჯულიეტა გოგილაშვილი, ***ისტორიის მასწავლებელი***: „რა თქმა უნდა, დიდი გულისყურით ველოდი ხელფასების დაანონსებულ ზრდას, რომელიც გამეზარდა ჩემი საათობრივი ბადის მიხედვით, 350 ლარით. ვისურვებდი, რომ ჩემი წინა დანამატიც შენარჩუნებულიყო, მაგრამ არც ახლა ვარ უკმაყოფილო. ყველასთვის გასაგებად რომ ავხსნათ, საერთო ჯამში სახელფასო ზრდა ფიზიკურად მაინც მოხდა და ჩემს შემთხვევაში ეს 350 ლარს შეადგენს“.

ელგა ხარაშვილი, ***ისტორიის მასწავლებელი***: „სიმართლე გითხრათ, მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, რადგან ზუსტად არ ვიცოდი ბოლო მომენტამდე, რა თანხა დამერიცხებოდა. დარიცხული 500 ლარით გამეზარდა ხელფასი, ასეთი დიდი ზრდა არასდროს გვქონია, დიდი ხანია ამ სისტემაში ვარ და რაღა დაგიმალოთ, უზომოდ გახარებული ვარ, მადლობა ყველას, ვინც ჩვენზე ზრუნავს და ეს სიხარული მოგვანიჭა“.

ხათუნა მაძღარაშვილი, ***ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დირექტორი:*** „როგორც დაანონსებული იყო, მასწავლებლებმა საშვებულებო თანხა უკვე მომატებული ოდენობით აიღეს. ჩვენს სკოლას ჰყავს 29 პედაგოგი, რომელთაგან ორასლარიანი მატება აქვს 3 მასწავლებელს, 200-დან 400 ლარამდე ხელფასი მოემატა 7 მასწავლებელს, 400-დან 600 ლარამდე 8-ს, ხოლო 600 ლარიდან ზემოთ მოემატა 10 მასწავლებელს, რისთვისაც მადლობას ვუხდით განათლების სამინისტროს“.

დასასრულს, არა როგორც სტატიის ავტორმა, არამედ როგორც მოსწავლეების მშობელმა, მინდა თითოეულ პედაგოგს მივულოცო ხელფასების ზრდა, რომელიც აუცილებლად გაზრდის მათ მოტივაციას და ახალი სასწავლო წლიდან მეტი შემართებით შეუდგებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. 80 ლარით რომ გამეზარდა ხელფასი 6 წლიანი პაუზის მერე აპრილში, დღემდე მიხარია, მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის მწირი ბიუჯეტის სოლიდარული ვარ.

აქვე როგორც მშობელი დავამატებ, რომ არასდროს მიგრძვნია მენტორის, წამყვანის და უფროსი მასწავლებლის სხვაობები ჩემს შვილებზე. მათგან წამოსული რაიმე განსხვავებული ცოდნა, რომელიც ბავშვებს საშუალებას მისცემს, თუნდაც სკოლის მერხიდან ადგნენ და პირდაპირ ეროვნულ გამოცდებზე გავიდნენ მშობლების დიდი მატერიალური მხარდაჭერის გარეშე.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ინტერნეტთაღლითების სამი ახალი მახე

არ ენდოთ მიმზიდველ დაპირებებს, დაიცავით თქვენი პირადი მონაცემები

„გამოიმუშავე ათასობით ლარი სახლიდან გაუსვლელად“, „თქვენი გზავნილის მიწოდება შეუძლებელია არასწორი ინფორმაციის გამო, შეიყვანეთ სწორი მისამართი“, „შეიძინეთ 5 000 GB 1 ლარად“ - ეს და სხვა მიმზიდველი დაპირებები ბოლო რამდენიმე თვეა აქტიურად გვხვდება ინტერნეტში და ბევრი უკვე SMS-ის სახითაც კი ვიღებთ. ზოგიერთი მათგანი იმდენად რეალურად გამოიყურება, რომ ყველაზე ინფორმირებულ პირსაც კი შეიძლება იმპულსურად არასწორი გადაწყვეტილება მიაღებინოს, რაც ინტერნეტთაღლითების მიერ თანხების სრულად მითვისებით მთავრდება.

წლებია, ინტერნეტთაღლითები მოქმედებენ ისეთი სქემებით, როგორიცაა გათამაშებებში დიდი თანხის ან ძვირადღირებული ტექნიკის მოგების შესაძლებლობა; Mymarket-ზე, უძრავი ქონებისა და სხვა ელ. კომერციის პლატფორმაზე ნივთის „შეძენის“ მცდელობა, რაც მსხვერპლის მიერ საბანკო მონაცემების გაზიარებით სრულდება და ა.შ. აღნიშნულ მეთოდებს დაემატა 3 კიდევ უფრო „დახვეწილი“ სქემა, რომლისგან თავის დასაცავად მეტი ყურადღება გვესაჭიროება.

გიზიარებთ აღნიშნულ მეთოდებს:

1. თაღლითისთვის მოწყობილობაზე დისტანციური წვდომის მიცემა Anydesk-ისა და სხვა აპლიკაციების მეშვეობით

მომხმარებლები სხვადასხვა სოციალურ ქსელში აწყდებიან ისეთ მომხიბვლელ შეთავაზებებს, როგორიცაა: ინვესტიციების განხორციელება მაღალი უკუგების სანაცვლოდ; დასაქმება მაღალი ანაზღაურებით, (რომელიც არ არის საოფისე საქმე და დიდ დროით რესურსს არ მოითხოვს) და კრიპტო ბირჟაზე ვაჭრობა დიდი მოგების დაპირებით.

მომხმარებლის მხრიდან ინტერესის გამოხატვის შემდეგ ინტერნეტთაღლითი მას სხვადასხვა არხით უკავშირდება (Messanger-ი, Whatsapp-ი, Viber-ი TELEGRAM და სხვა), უწევს ე.წ. კონსულტაციას, „ასწავლის“, როგორ ივაჭროს აქციებით, როგორ ჩაერთოს პროცესში. შემდეგ სთავაზობს აპლიკაციის დაყენებას, რათა დისტანციურად გაუწიოს მხარდაჭერა და ასე გაუმარტივოს პროცესი. ამისთვის იყენებენ დისტანციურად სხვა მოწყობილობაზე წვდომის პროგრამას, როგორიც არის ენიდესკი (Anydesk), მაგრამ შესაძლებელია, იყოს სხვაც, მათთვის მთავარია, რომ მომხმარებელმა მესამე პირთან შეძლოს ეკრანის გაზიარება. რიგ შემთხვევებში, კომუნიკაციამ შესაძლოა დღეებიც გასტანოს, რათა მსხვერპლის ნდობა მოიპოვონ. ყოფილა შემთხვევები, რომ საწყის ეტაპზე, მომხმარებელს რამდენიმე ათეულ დოლარსაც კი ურიცხავენ, თითქოს ეს განხორციელებულ ინვესტიციაზე ამონაგებია.

როდესაც ინტერნეტთაღლითი მიზანს მიაღწევს, ნდობას მოიპოვებს და „მომხმარებელს“ დისტანციური კონტროლის აპლიკაციას დააყენებინებს, უკვე თავად იწყებს მის მოწყობილობაში ყველანაირი ოპერაციის განხორციელებას.

რიგ შემთხვევებში, სთხოვენ ხოლმე, რომ მომხმარებელმა ტელეფონი რამდენიმე წუთის განმავლობაში საერთოდ არ გამოიყენოს და ა.შ. საბოლოოდ, თაღლითები ისაკუთრებენ ანგარიშზე არსებულ თანხებს.

ასევე, თუ დასაქმებას გთავაზობენ, რაც საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით პოსტების კომენტარებში, თავად გადით კავშირზე კომპანიასთან, რომლის სახელითაც გესაუბრებიან და გადაამოწმეთ ვაკანსიის რეალურობა. ხშირად გვხვდება ყალბი დასაქმების შესაძლებლობა სხვადასხვა ცნობილი კომპანიის სახელით, რითაც ინტერნეტმომხმარებლები შეცდომაში შედიან ხოლმე. როგორც წესი, შეთავაზება არის დაუჯერებლად მიმზიდველი, რამაც ეჭვი უნდა აღძრას. ამ შემთხვევაშიც, თაღლითები ითხოვენ დისტანციური მართვის აპლიკაციის ჩამოტვირთვასა და დაყენებას, შემდეგ კი ეკრანის გაზიარებას.

მომხმარებელი არ უნდა ენდოს მათ საეჭვო შემოთავაზებებსა და მოთხოვნას, სმარტფონზე, კომპიუტერსა თუ სხვა მოწყობილობაზე მისცეს წვდომა და უნდა დაიცვას თავისი პირადი მონაცემები.

2. გადამზიდის სახელით მოსული ყალბი SMS შეტყობინებები ამანათების შესახებ

შეიძლება ითქვას, რომ ეს სქემა ერთ-ერთი ყველაზე „დახვეწილი“ და რთულია ამოსაცნობად. მობილური ოპერატორების მომხმარებლებს სმარტფონზე მოსდით SMS შეტყობინებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩამოვიდა მათი ამანათი, თუმცა გაურკვეველი უზუსტობის გამო პროცედურები შეფერხდა. თაღლითები ითხოვენ, SMS-ში არსებულ ბმულზე გადასვლით გაასწორონ აღნიშნული უზუსტობა, შეიყვანონ თავიანთი საბანკო მონაცემები. მომხმარებელიც გადადის მოცემულ ბმულზე, რომლის გზაც ორად იყოფა: ან მიჰყავხართ ბარათის მონაცემების შეყვანამდე, ან დისტანციური არხის მონაცემების შეყვანამდე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შინაარსის მატარებელი შეტყობინებები იგზავნება სხვადასხვა ტელეფონის ნომრიდან და თაღლითების მახეში საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ებმება, რადგანაც ამ პერიოდში რეალურად შეიძლება გქონდეს ამანათი გამოწერილი, დეტალებს აღარ დააკვირდე და იმპულსურად შეიყვანო პირადი მონაცემები.

ამგვარი შემთხვევისგან თავის დასაცავად, ამანათთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა გადავამოწმოთ იმ გადამზიდთან, რომელიც იმ პერიოდისთვის გვემსახურება.

3. მეგაბაიტებისა და სამგზავრო ბარათების დაუჯერებელი ფასდაკლებით შეძენის შესაძლებლობა

მეგაბაიტების შეღავათიან ფასში შეძენის შეთავაზება „ინსტაგრამზე“ დასპონსორებულ „სთორებში“ გვხვდება, რა დროსაც ბმულზე გადასვლას და შემდეგ მონაცემების გაზიარებას ითხოვენ.

სამგზავრო ბარათებთან დაკავშირებული სქემა კი აქტიურია როგორც „ფეისბუქზე“, ისე SMS შეტყობინების სახით. „ფეისბუქზე“ მომხმარებელს სთავაზობენ, ბარათი შეიძინონ სულ რაღაც 1 დოლარად ან მათ ნაწილს მერიის სახელით მისდით ტელეფონზე შეტყობინება აქციის შესახებ, რის შემდეგაც ხდება პირადი ინფორმაციის გაზიარება ისეთ აპლიკაციებში, როგორიცაა Whatsapp, Viber, Messanger და Telegram.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თაღლითებისგან თავის დაცვის მთავარი ბერკეტი ჩვენს ხელშია: უნდა გადავამოწმოთ შეთავაზების რეალურობა, ჩვენი ბარათის მონაცემები არ უნდა გავუზიაროთ მესამე პირს. ამასთან, რამდენად სანდოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს შესაძლებლობა, არ უნდა მივცეთ წვდომა ჩვენს მოწყობილობაზე მესამე პირს, რადგან არცერთი საინვესტიციო აქტივობა თუ ტრანზაქცია რეალურად ამგვარ ქმედებას არ მოითხოვს.

დავიცვათ ჩვენი პირადი მონაცემები და თავი დავიზღვიოთ მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის მიღებისგან.

6 თვეში საქართველოში 3 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2024 წლის I-II კვარტალში საქართველოში 3,021,067 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა +5.6%-ია.

მათივე ცნობით, იანვარი-ივნისის პერიოდში ქვეყანაში 2,123,816 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, 2023 წელთან შედარებით ზრდა +10%-ია.

„2024 წლის მეორე კვარტალში საქართველოში 1,720,516 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, 2023 წელთან შედარებით ზრდა +4.2%-ია.

აპრილი-ივნისის პერიოდში საქართველოში 1,185,172 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა +9.2%-ია.

საერთაშორისო მოგზაურებისა და საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გამოითვლება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციით შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და მოიცავს უკვე განხორციელებულ და დასრულებულ ვიზიტებს“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

რომელია ღვინის ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნები

აშშ 2023 წელს ღირებულების თვალსაზრისით ყველაზე დიდი ღვინის იმპორტიორია მსოფლიოში. ამის შესახებ ამერიკის ღვინის ეკონომისტთა ასოციაციის (American Association of Wine Economists-AAWE) რეიტინგში წერია, რომელიც ასოციაციის facebook-გვერდზე ვრცელდება.

ღირებულების თვალსაზრისით, აშშ-ის ღვინის იმპორტმა გასულ წელს 6,991 მლრდ დოლარი შეადგინა. წამყვან სამეულში დიდი ბრიტანეთი და გერმანიაა, ხოლო რუსეთი ტოპ 10-ეულშიც ვერ მოხვდა და რეიტინგში მე-13 ადგილი უკავია.

2023 ნლის მსფლიო ღვინის იმპორტიორთა ტოპ 10-ეული (ღირებულების თვალსაზრისით) ასეთია:

•აშშ - 6,991 მლრდ დოლარი

•დიდი ბრიტანეთ- 5,052 მლრდ დოლარი

•გერმანია - 2,900 მლრდ დოლარი

•კანადა - 1,995 მლრდ დოლარი

•იაპონია - 1,783 მლრდ დოლარი

•ნიდერლანდები - 1,611 მლრდ დოლარი

•შვეიცარია - 1,373 მლრდ დოლარი

•ჩინეთი - 1,160 მლრდ დოლარი

•საფრანგეთი - 1,054 მლრდ დოლარი

•ბელგია - 1,053 მლრდ დოლარი

აღსანიშნავია, რომ AAWE-მ რუსეთის მაჩვენებელში იმპორტთან ერთად ექსპორტის ღირებულებაც შეიყვანა, რამაც მთლიანობაში 876 მლნ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება ჩინეთს, რეიტინგში ცალკე არის დათვლილი ჰონგ-კონგის საიმპორტო ღირებულება, რამაც 969 მლნ დოლარი შეადგინა. ამით ცალკე ჰონგ-კონგი ტოპ 10-ეულის მიჯნაზე, მე-11 ადგილზეა, ხოლო მის მაჩვენებელთან ჯამში ჩინეთი 2,129 მლრდ დოლარის საიმპორტო ღირებილებით მერვედან მეოთხე ადგილზე გადადის.

ცნობისთვის: AAWE-ის 2022-23 წლების რეიტინგში საქართველო ჩინეთის ღვინის იმპორტში წამყვანი ქვეყნების ტოპ 10-ეულს ხურავს. კერძოდ, 2022 წელს ჩინეთმა საქართველოდან 15,02 მლნ დოლარის, ხოლო 2023 წელს შედარბით ნაკლები ღირებულების, 11,69 მლნ დოლარის ღვინის იმპორტი განახორციელა. ამდენად, ერთ წელიწადში საქართველოდან იმპორტი 3,33 მლნ დოლარით, ანუ 22,2%-ით შემცირდა.

სად ვყიდით ქართულ სუნელებს?

ჩინეთი ქართული სანელებლების მთავარი ექსპორტიორია. 2024 წლის იანვარ-მაისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ჩინეთში ქართული სანელებლების ექსპორტი 563%-ით გაიზარდა და 15.777 მლნ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა წინა წლის ანალოგიურ პერიოდში აზიის ამ ქვეყანაში მხოლოდ 2.379 მლნ დოლარის გავიდა.

საქსტატის საგარეო ვაჭრობის პორტალის მონაცემებით, ჯამში 2024 წლის იანვარ-მაისში, საქართველოდან 20.064 მლნ დოლარის ღირებულების სანელებლების ექსპორტი განხორციელდა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 185.8%-ით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ ამ მოცულობის სუნელები საქართველოს არცერთ წელს გაუტანია. 2009 წელს (საქსტატის საგარეო ვაჭრობის პორტალზე მონაცემები ამ პერიოდიდან არის ხელმისაწვდომი) ქვეყნიდან 1.115 მლნ დოლარის სანელებლები გავიდა, 2023 წლის იანვარ-მაისში კი 7.018 მლნ-ს ღირებულების.

ქართული სანელებლების მთავარი იმპორტიორი წლების განმავლობაში თუ რუსეთი იყო, წელს ეს მოცემულობა შეიცვალა და მან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. წელს ქართული პროდუქციის 78,6% ჩინეთში გავიდა.

2024 წლის იანვარ-მაისში ქართული სანელებლების საექსპორტო ქვეყნების Top-5 ასე გამოიყურება:

ჩინეთი - 15.777 მლნ დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში — 78.6%)

რუსეთი - 2.950 მლნ დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 14.7%)

უკრაინა - 497.76 ათასი დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 2.4%)

თურქეთი - 267.5 ათასი დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 1.3%)

ყაზახეთი - 195.9 ათასი დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 0.98%)

საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა, მსოფლიოში 119-ე ადგილზეა

„საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა, მსოფლიოში 119-ე ადგილზე იმყოფება“ - ამის შესახებ ინფორმაციას, სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი აქვეყნებს.

საზღვაო სფეროში ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს - ნავსადგურების დაკავშირებადობის ინდექსი წარმოადგენს .

გაერთიანებული ერების ყოველწლიური კვლევის თანახმად საქართველოს მსოფლიოში - 119-ე ადგილი უკავია.

რაც შეეხება შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებს, მათი ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

***თურქეთი – მე–19 ადგილი**

***რუსეთი – 32–ე ადგილი**

***რუმინეთი – 81–ე ადგილი**

***ბულგარეთი – 108–ე ადგილი**

***უკრაინა – 158–ე ადგილი (ომამდე 62 – ე ადგილი)**

***საქართველო 119–ე ადგილი**

ცნობისათვის, საქართველოს, რომელიც ოდიდგანვე ფლობდა საზღვაო დროშას, გააჩნია სახელმწიფო საზღვაო მარეგულირებელი ორგანო, ახორციელებს დროშის სახელმწიფო კონტროლი, გააჩნია ნავსადგურები, სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი, ჰიდროგრაფიული სამსახური, სასწავლო ცენტრები, პერსონალი, პარალელურად წარმოადგენს - ნავსადურის სახელმწიფო კონტროლის შავი ზღვის მემორანდუმის მხარეს და მეზღვაურთა დასაქმების კუთხით მემორანდუმი 70-ზე მეტ სახელმწიფოსთან აქვს გაფორმებული.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვლმა

„ბედნიერი ვარ, როცა მომავალი თაობა ცდილობს, ტრადიციები არ დაივიწყოს“...

ის ზემო ქედის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად 34 წლის განმავლობაში მუშაობდა. ამ თვეში მას 77 წელი უსრულდება, ამიტომ „შირაქმა“ გადაწყვიტა, იზო ნამგალაურთან სოფელში მოღვაწეობის წლებზე ესაუბრა და საინტერესო დეტალები გაეხსენებინა.

იზო ნამგალაური: „1947 წელს შაქარაშვილების ოჯახში დავიბადე, თბილისში ვიზრდებოდი, ავლაბრის ბაზართან №84-ე სკოლა დავამთავრე. შემდეგ მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე, თუმცა დავოჯახდი და დამთავრება ველარ მოვახერხე. საგვარეულოში ყველა მომღერალი მყავდა. საგარეჯოდანაა მამაჩემი, ის და მისი ძმები სულ მღეროდნენ. დედაჩემიც მღეროდა და ბავშვობიდან სულ სიმღერა მესმოდა. ფანდურზე დაკვრა ჩემით ვისწავლე, მამას ვუყურებდი და ასე ავითვისე. სხვა რამეზე არც მიფიქრია, ბავშვობიდანვე მუსიკალურზე სწავლა და ამ განხრით მუშაობა მინდოდა. ჩემი სკოლის მუსიკის მასწავლებელს გიორგი ბუღაძესაც დიდი წვლილი აქვს ჩემს განვითარებაში შეტანილი, მან ძალიან შემაყვარა სიმღერა. მესამე კლასიდან სკოლის გუნდში დამაყენა და პირველ ხმაში ვმღეროდი. ძალიან მოსწონდა ჩემი ხმა და ხშირად მაქებდა.

დიღმის მასივში დეიდა ცხოვრობდა, მათ კორპუსში იყო მოსული ჩემი მომავალი მეუღლე, სეირან ნამგალაური, დეიდაჩემის მეუღლემ შეგვახვედრა, იქ გავიცანი და მოგვიანებით ოჯახი შევქმენით. ჩემი მეუღლე მძღოლი იყო და ზემო ქედიდან თბილისში სამუშაოდ იყო გაგზავნილი, შიდა საქალაქო ავტობუსზე მუშაობდა. რადგან კარგი თანამშრომელი იყო და ნითელწყაროშიც ტაქსი უნდა დანიშნულიყო, რაიონმა მოითხოვა, ამიტომ ქალაქ წითელწყაროში დაბრუნდა და ტაქსის მძღოლად დაიწყო მუშაობა. ერთი დღე იმუშავა, მეორე დღეს დასვენება ჰქონდა, მესამე დღეს, მუშაობის დროს ერთ-ერთი მგზავრი უკან ჩაუჯდა. მას თან გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი ჰქონია, რომელიც გაურკვეველი მიზეზით, მოულოდნელად, მძღოლს ესროლა. ჩემს მეუღლეს მკლავი დაუზიანდა და ექიმებმა საჭიროდ ჩათვალეს, მარჯვენა ხელი მოეკვეთათ. უბედური შემთხვევის შემდეგ ცალი ხელით აგრძელებდა ცხოვრებას და ოჯახური სიმძიმე მეც უფრო მეტად დამაწვა. ჩემი მეუღლე მამით ობოლი იყო, სახლში მხოლოდ დედა ჰყავდა. 1941 წელს დაიბადა, როცა მამამისი უკვე ფრონტზე იყო გაწვეული. ის ქერჩში დაიკარგა და მეტი შვილი აღარ ჰყოლია. მაშინ ზემო ქედში წნულის პატარა სახლები იყო, ორი ოთახი გვქონდა. მერე ავაშენეთ ეზოში „ბელეტაჟის“ ტიპის სახლი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე და მეგობრები გვეხმარებოდნენ, ასე შევძელით აშენება. მიუხედავად იმისა, რომ ხელი დაკარგა, არ ჩერდებოდა და საოჯახო საქმეებს მაინც აკეთებდა. მეც მაქსიმალურად გვერდით ვედექი და ერთობლივი ძალით ვენოეოდით ოჯახის უღელს. სამი შვილი გვყავს, ორი ბიჭი და ერთი ქალიშვილი, ორიც შვილიშვილი. მეუღლესაც უყვარდა სიმღერა. ხშირად მთხოვდა ხოლმე, აიღე ფანდური და იმღერეო. სპორტსაც მისდევდა და ხელოვნებასაც აფასებდა. ერთი პერიოდი, დაოჯახებამდე ზემო ქედის თეატრშიც თამაშობდა გარკვეულ როლებს.

— ***როგორ მოხვდით ზემო ქედის კულტურის სახლში?***

— ზემო ქედში საცხოვრებლად 1971 წელს ჩამოვედით, ერთი შვილი უკვე მყავდა. 1973 წლამდე საოჯახო საქმეებით ვიყავი დაკავებული, შემდეგ კი კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, ანსამბლის ხელმძღვანელმა მაყვალა წიკლაურმა შემომთავაზა, კულტურის სახლში მემუშავა. როგორც ჩანს, ოჯახში სუფრაზე ჩემი სიმღერა მოისმინა და მოსწონებია. მაშინ ძველი კულტურის სახლის შენობა იყო და სამხატვრო ხელმძღვანელად დავიწყე მუშაობა. რა თქმა უნდა, გამიხარდა მისი შემოთავაზება, რადგან მომეცა შესაძლებლობა ის საქმე მეკეთებინა, რომელიც ძალიან მიყვარდა. მაშინ ძალიან დატვირთული მუშაობა იყო, სოფელში გუნდიც მოქმედებდა, ორკესტრიც, ფანდურს ვუკრავდი, სოლისტი ვიყავი, სპექტაკლებს ვთამაშობდით, იუმორისტულ სკეტჩებს ვდგამდით. არსებობდა ბავშვთა გუნდიც. ძველი კულტურის სახლის შენობა საკმაოდ პატარა იყო, ერთ ოთახში მოჭიდავეები ვარჯიშობდნენ და ლეიბები ჰქონდათ ხოლმე მუდმივად გაშლილი, დარბაზში კი ჩვენ ვმეცადინეობდით და ვმღეროდით. არ იყო საუკეთესო შენობა, მაგრამ სხვა მხრივ ყველანაირი ხელშეწყობა გვქონდა. მისვლისთანავე დავინახე, რომ საკმაოდ კარგი სიტუაცია იყო და მაყვალას აქტიური მუშაობა ჰქონდა გაჩაღებული. მარტო ვმუშაობდით მე და მაყვალა. გვქონდა ფორმები, ინსტრუმენტები. კარგი დრო იყო და თითქოს მაშინ უფრო მეტი შესაძლებლობები არსებობდა. უამრავი ღონისძიება ტარდებოდა. სოფელში მცხოვრები ყველა თაობა აქტიურად იყო ჩართული კულტურულ ცხოვრებაში. წარმოიდგინეთ, ანსამბლში 40 წევრი იდგა. ჩემი შვილებიც ორკესტრში მედგნენ, ერთი ბიჭი კონტრაბასს უკრავდა, მეორე დიპლიპიტოს, გოგონა კი გუნდში მღეროდა. სახლშიც, თავისუფალ დროს როცა გამოვნახავდით მუდმივად ფანდურსა და გიტარაზე ვუკრავდით და ოჯახურად ვმღეროდით. ჩემი შვილიშვილი მარიამი პიანინოზეც უკრავს, ფანდურზეც.



1986 წ. სამხედრო გარადოკი

1988 წ. ფიროსმანობა მირზაანში. იზო ნამგალაური, ქეთინო ქიმოსტელი

1986 წ. შეხვედრა არსენ კობაიძესთან

დავდიოდით ფერმებში, მშრომელ ხალხს კონცერტებს ვუტარებდით, დედაქალაქშიც ხშირად გვაგზავნიდნენ. გამოიყოფოდა ავტობუსი და ცდილობდნენ ბევრ ღონისძიებაში ჩავრთულიყავით. ოლიმპიადებში ვმონაწილეობდით და წარმატებებსაც ხშირად ვაღწევდით, ჩამოგვქონდა ჯილდოები. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არსენ კობაიძეს სიმღერა ძალიან უყვარდა, თავადაც კარგად მღეროდა. ყოველთვის გვერდით გვედგა და ჩვენი დიდი გულშემატკივარი იყო. ასევე მოქმედებდა ავთო ბურდულის ცეკვის ანსამბლი, ისიც წარმატებით მოღვაწეობდა. წარმატებული იყო ჩვენი თეატრი, რომელმაც სახალხო თეატრის წოდება მიიღო. სამი სპექტაკლი დავდგით. წითელწყაროს კულტურის სამსახურის მაშინდელმა უფროსმა ნელი გობეჯიშვილმა თეატრის რეჟისორად გამარჯვებელი კაცი, გოგი არაბული ჩამოიყვანა და ის მუშაობდა, მისი შექმნილია ჩვენი თეატრი. სცენარებს ძირითადად გოგი არაბული და ავთო ბურდული წერდნენ, ზოგჯერ მე და მაყვალაც ვწერდით სცენარებსა და სკეტჩებს. იმხელა გამოცდილება მომცა თეატრმა, ძალიან შემაყვარა სცენა და ხალხის წინაშე გამოსვლა. მოგეხსენებათ თეატრში მუშაობას სულ სხვა უნარები და მონაცემები სჭირდება. გოგი არაბული ძალიან ძლიერი იყო თავის საქმეში, მან ძალიან შემაყვარა თეატრი. დღემდე კარგად ვიხსენებ ამ პერიოდს და ჩვენს მიერ შესრულებულ როლებს. ცხოვრებისეული როლები გვქონდა, ძირითადად, მეოჯახე მეუღლეს ვთამაშობდი ხოლმე.

— ***რა მუხტი არსებობდა სოფელში, რომ ამხელა ჩართულობა იყო?***

— ორკესტრში, ანსამბლსა და თეატრში ხალხს ხელფასი არ ეძლეოდათ, მაგრამ ზემო ქედში ხელოვნების მიმართ ხალხს იმხელა სიყვარული აქვს, მაინც მოდიოდნენ და მუშაობდნენ. დილით შრომობდნენ, საღამოს კი რეპეტიციებზე იდგნენ და მღეროდნენ. ანაზღაურებას მხოლოდ მე და მაყვალა ვიღებდით, შემდეგ კოლმეურნეობამაც დაგვინიშნა ხელფასი. აქაურებს კულტურა იმდენად უყვართ, სიმღერა მათთვის იმდენად ბუნებრივი იყო, მთიულებს ხელფასი არ აინტერესებდათ. კვირაში ორი დღე რეპეტიციებს არ აცდენდნენ და ყველაფერში გვერდით გვედგნენ. ასაკოვანი ხალხიც მრავლად იყო ჩვენთან, დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის. მაშინ კარგი და უდარდელი ცხოვრება იყო, გაჭირვება არ იყო და ბევრს ემღერებოდა, ხელოვნებისადმი სიყვარული და ინტერესიც უფრო მეტი იყო. თუ რომელიმე ოჯახს უჭირდა, ან რაიმე პრობლემა ჰქონდა, კოლმეურნეობა და მისი თავმჯდომარე არსენ კობაიძე ეხმარებოდა ხოლმე. წინათ სხვა ურთიერთობები და სხვა დამოკიდებულებები იყო ერთმანეთთან. სხვანაირად კარგი დრო იდგა. ხალხიც სხვანაირი იყო, ყველას მეტი ხალისი ჰქონდა. უკან არაფერზე დავიხევდით. ახლა სხვანაირი თაობა წამოვიდა. დიდი გუნდის ჩამოყალიბება რომ გინდოდეს, ამდენად დიდი ჩართულობა და დაინტერესება ახლა აღარ იქნება. მიხარია, ტელევიზორში რომ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ხალხურ სიმღერებს ვისმენ. ბედნიერი ვარ, როცა მომავალი თაობა ცდილობს ტრადიციები არ დაივიწყოს და ფოლკლორს დაეუფლოს. არ მეზარება, თუკი მსურველი იქნება, ისევ სიამოვნებით შევასწავლი. ნლების წინ სახლშიც ვამზადებდი ახალგაზრდებს, ძირითადად ფანდურზე სიმღერაში. როგორც ვაკვირდები ახლა ნაკლები დაინტერესებაა, მეტწილად უცხოურ სიმღერებს ასრულებენ. იშვიათია ტრადიციული ქართული სიმღერები მოისმინო. მგონია, რომ ფოლკლორი უფრო რთულია და ამიტომ ცდილობენ მარტივი, უცხოური სიმღერები შეასრულონ. საკმაოდ რთული სამღერია ქართული კუთხური ფოლკლორიც, მაგრამ აუცილებელია ტრადიცია გაგრძელდეს და თაობებმა ერთმანეთს გადასცენ ჩვენი ფოლკლორული ფასეულობები. ახალგაზრდებმა ჯერ მშობლიური სიმღერა უნდა იცოდნენ და უყვარდეთ და შემდეგ უცხოური პოპულარული ჰიტები. მიმაჩნია, რომ მშობლების დანაშაულია ეს, ოჯახს ბევრი რამ შეუძლია. რა გარემოშიც იზრდება მოზარდი, ისეთივე მუსიკალური გემოვნება ექნება. რას მივაჩვევთ და ბავშვი რას ისმენს ოჯახში, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ***ქვეყნის გარეთაც ხშირად მოგზაურობდით, რა გახსენდებათ გასტროლებიდან?***

— ძირითადად საბჭოთა კავშირის მასშტაბით გვიწევდა სიარული. ვიყავით გერმანიაში, ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. 1980 წელს ბულგარეთში მთელი ანსამბლი წავედით. თვითმფრინავით და შემდეგ მატარებლით ვიმგზავრეთ. ორი კვირა მაინც დავრჩით და ზღვის სანაპიროზეც გავედით. ჩეხოსლოვაკიაში კი ძირითადი კონცერტების შემდეგ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს ვესტუმრეთ და საბჭოთა ჯარი მოვინახულეთ, ჩვენს ბიჭებს ჩავუტარეთ დამატებითი კონცერტი. თავისუფალ დროს კი ქალაქის ქუჩებში ვსეირნობდით და ღირსშესანიშნავ ადგილებს ვათვალიერებდით.

— ***ზემო ქედის კულტურის მუშაკებს ყველაზე დიდი მადლობა გეკუთვნით, რადგან სხვა სოფლებისგან განსხვავებით კლუბის უნიკალური შენობა 90-იან წლებში ხელუხლებელი შემოინახეთ...***

— 1986 წელს არსენ კობაიძის დამსახურებით ზემო ქედში უნიკალური კულტურის სახლის შენობა გაიხსნა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გამორჩეული იყო თავისი მასშტაბებით და შესაძლებლობებით. ვინც ჩამოდიოდა და ამ სცენას ნახავდა, გაოცებული რჩებოდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ კარგი ნლები დიდხანს არ გაგრძელებულა. თუმცა, გახსნიდან მალევე აირია საქართველოში ცხოვრება, დაიწყო სამოქალაქო ომი და ყველა სოფელში გაპარტახდა კულტურის სახლები. ჯერ საბჭოთა წყობა დაიშალა, დამოუკიდებლობის პირველ ნლებში შიდა კონფლიქტებიც გამწვავდა და ხალხმა აწყობილი ქვეყნის დაშლა დაიწყო. ჩვენს მეზობელ სოფლებშიც განადგურდა კლუბის შენობები და ქონება, მაგრამ დედოფლისწყაროში მხოლოდ ზემო ქედი იყო, რომელმაც კულტურის სახლის შენობა ხელუხლებლად შემოინახა და მომავალ თაობას დაახვედრა. ამ მემკვიდრეობას დღემდე იყენებს სოფელი. კულტურის სახლის ახალი შენობის დირექტორად ქეთინო ქიმოსტელი დაინიშნა და მისი დამსახურებით გადარჩა ეს შენობა. გვერდით გვედგა და როგორც ხელმძღვანელი, რაც საჭირო იყო ძალ-ღონეს არ იშურებდა ჩვენთვის. თანამშრომლებიც გვერდით ვედექით, მაგრამ ქეთინოს წვლილი დიდია. სხვათაშორის, ერთ ხანს, როცა მხედრიონის ბიჭები სოფლებში დადიოდნენ, მან კლუბის შენობაში ერთი ოთახი გამოუყო, სადაც იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ. ზუსტად მახსოვს, მხედრიონელი შეიარაღებული ბიჭების მხრიდან არაფერი დაზიანებულა არც კულტურის სახლის შენობაში და არც სოფელში. მათი გაფუჭებული არაფერი გამიგია. ომიანობის არეულ ნლებში კლუბის თანამშრომლებმა დაიცვეს ეს უნიკალური შენობა, არსებობდა დარაჯიც.

— ***როდის და რატომ დატოვეთ კულტურის სახლი, რამდენად გაგიჭირდათ ამ ყველაფრის გარეშე?***

— 2007 ნელს პენსიაში გასვლა მინევდა და გადავწყვიტე კულტურის სახლიდან წავსულიყავი და მეტი დრო ოჯახისთვის დამეთმო. 34 ნლიანი მუშაობის შემდეგ ასეც მოვიქეცი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, პირველ ეტაპზე, ძალიან გამიჭირდა სახლში ჯდომა. ძნელი იყო კულტურის სახლის კედლების გარეშე ცხოვრება, სიმღერისა და რეპეტიციების, ხალხთან კონტაქტის გარეშე. მაგრამ დღემდე კავშირი არ გამიწყვეტია. როცა დავჭირდები მეპატიჟებიან და ვმონაწილეობ ღონისძიებებში. მართალია სიარული მიჭირს და ასაკის გამო ბევრი არაფერი შემიძლია, მაგრამ სცენაზე დგომაზე უარს ვერასოდეს ვამბობ, რაც გინდა საქმე მქონდეს, გადავდებ და მაინც მივიღებ მონაწილეობას. ვესწრები რეპეტიციებსაც და შემდეგ ღონისძიებებსაც. ბედნიერი ვარ, რომ სამსახურის დატოვებიდან ამდენი ნლის შემდეგ ისევ მეძახიან, ისევ ვჭირდები და ყურადღებას ვგრძნობ. გასულ ნელსაც და ნელსაც, საგაზაფხულო ღონისძიებაზე გივი ლაზვიაშვილთან ერთად ახალი იუმორისტული სკეტჩი მოვამზადეთ და გავიტანეთ. ტექსტი ჩემი შედგენილია. დიდი მონდომებით ვემზადებოდით. გივი ლაზვიაშვილი დამსახურებული სპორტსმენი და მწვრთნელია, მაგრამ კარგად მღერის, სკეტჩებშიც კარგად თამაშობს და ერთად ბევრჯერ გვითამაშია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოხუცი ვარ, სცენაზე დგომა მახალისებს, გამომაცოცხლებს და ძალას მმატებს ხოლმე. ამიტომაც მიპატიჟებაზე უარს არ ვამბობ და ყოველთვის სიამოვნებით მივდივარ.

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

მართთ საკუთარი სიზმრები

„ცხადი სიზმრების ტექნიკა დაგეხმარებათ გაერკვეთ საკუთარ ფსიქიკაში“

შაბათ წამეს ეხმ ქალს კოშმაჩი ესიზმრა. მან გვიანობამდე უყურა საშინელებათა შინამს და ჩომ წვებოდა, გაიშიქრა – ალბათ, აჩ ზამეძინებათ. შესაძლოა, სწორედ ამის გაშიქრების გამო ჩოცა ძილში შიდმში ნანახი შსიქოპატი მკვლელი გამოეცხადა-ქალმა უეცრად გაცნობიერა, ჩომ ეს ჩეალობა აჩ აჩის და მკვლელს შეხრა – „ვიცი ჩომ ეს სიზმარია და ახლავე გაეთრიე აქედან!“ მკვლელიც მაშინვე გაუჩინარდა და ქალმა მშვიდად განაგრძო ძილი.

ბოროტების განდევნა, უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება, ფანჯრების გარღვევა და გაფრენა - ამგვარი რამ შესაძლებელია ცხადი სიზმრების პარადოქსურ და საოცარ სამყაროში. განსხვავებით ჩვეულებრივი სიზმრებისაგან, რომლებიც მძინარე ადამიანს რეალობად ეჩვენებიან, ცხადი, გამჭვირვალე სიზმრების დროს ადამიანი უეცრად აცნობიერებს, რომ ყველაფერი, რასაც იგი ხედავს - არარეალურია, სიზმარია და ამდენად მასში ჩარევა და სიუჟეტის თავის ნებაზე წარმართვა შეუძლია.

ასეთი რამ, ალბათ, ყოველ ჩვენთაგანს განუცდია, ყოველ შემთხვევაში, მონაცემების თანახმად ადამიანთა 58 პროცენტს ასეთი სიზმარი ცხოვრებაში ერთხელ მაინც დასიზმრებია. ცნობილი გახდა ისიც, რომ ადამიანმა შეიძლება გამოიმუშაოს ამგვარი სიზმრების ნახვის ჩვევა.

რით იპყრობს ცხადი გამჭვირვალე ან როგორც მას კიდევ ეძახიან–კონტროლირებადი, მართული სიზმარი ფსიქოლოგთა ყურადღებას?

საერთოდ, სიზმრების ანალიზი, ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკის კვლევის ნაცადი გზა არის, მაგრამ მხოლოდ გამჭვირვალე სიზმრების საშუალებით არის შესაძლებელი, რომ ადამიანი თვითონვე დაუპირისპირდეს მისთვის რთულ ემოციურ საკითხებს და მათი გადაწყვეტა სცადოს. ამას იგი აკეთებს კიდეც ცხად სიზმრებში-მაგრამ რა გზით და როგორ -აქ თავისი სიტყვა ფსიქოლოგმა უნდა თქვას, ფაქტობრივად გაცნობიერებას შემოაქვს სიზმარში ის განწყობები და რთული სიტუაციისადმი თავის გართმევის ის სტრატეგიები, რომლებსაც ადამიანი იყენებს ხოლმე ცხოვრებაში, გაცნობიერებას შემოაქვს აგრეთვე დამცავი მექანიზმებიც, რომლებიც გადაჭრას კი არ ემსახურებიან, არამედ პრობლემის არ დანახვას, მის უარყოფას. ასე მაგალითად, ცხადი სიზმრებისთვის ძალზე დამახასიათებელია ცნობიერების ჩარევით უსიამოვნო, მძიმე სიტუაციის ნეიტრალური ან სასიამოვნო სიტაუციად გადაქცევა. ხშირია აგრეთვე მძიმე, კოშმარული სიტუაციიდან გაქცევა. ტიპიურია, აგრეთვე აგრესიული მოქმედება ან დამორჩილება-სადაც ადამიანი სიზმარში კლავს მოძალადეს ან როცა მისი ხელით იღუპება. სიზმრის აგრესიულ პერსონაჟთან. ბრძოლა და მისი დამარცხება ცხადი სიზმრებისთვის ჩვეულებრივი რამ არის.

მაგრამ თუ ამოვალთ იქიდან, რომ სიზმარში ნანახი აგრესორი ჩვენივე ფსიქიკის გაუცხადებელი მომენტია, მასთან აშკარა დაპირისპირებისა და ბრძოლის მაგივრად, უმჯობესია, სხვა გზა მოიძებნოს, თუ როგორი უნდა იყოს სიზმრის შიშისმგვრელ პერსონაჟზე რეაგირების თერაპიული გზა-ფსიქოთერაპევტები გვირჩევენ შემდეგს:

-ნუ ეცდებით სიზმრის საშინელებას გაექცეთ, თვალი გაუსწორეთ მის საშიშ პერსონაჟს და მეგობრული ტონით იკითხეთ: „ვინ ხარ?“ „მე ვინ ვარ?“ რა გინდა ჩემგან?“;

-სცადეთ მასთან მოლაპარაკება დიალოგის მეშვეობით, ეცადეთ მისცეთ თქვენს შორის არსებულ კონფლიქტს ღია დისპუტის სახე, ნუ მიმართავთ შეურაცხყოფას და მუქარას, და ეცადეთ, სცნოთ მისგან წამოყენებულ მოთხოვნათა სამართლუიანობა;

- ნუ დანებდებით საშიშ პერსონაჟს, აჩვენეთ, რომ მზად ხართ დაიცვათ საკუთარი თავი. თუ შეტაკება გარდაუვალია, სცადეთ დაამარცხოთ მტერი, მაგრამ ნუ მოკლავთ, დაუზავდით;

-მტერთან შეთანხმება აზრით, სიტყვით და ჟესტის გამოყენებით სცადეთ;

-თუ შეთანხმება შეუძლებელია, მტერს ფიზიკურად და აზრობრივად განუდექით;

-შეთანხმების შემდეგ ჰკითხეთ შეუძლია თუ არა მას დაგეხმაროთ მიღწეული შეთანხმების განხორციელებაში.

დიალოგი რომ პროდუქტიულად წარიმართა, ამას სიზმარშივე მიხვდებით-სიზმრის მანამდე საშიში მოქმედი პირი შეიცვლის ფორმას, ნაკლებ საშიში გახდება, გაუჩინარდება ან სხვა ვინმედ გადაიქცევა.

ისევე როგორც ჩვეულებრივ სიზმარს, ცხად სიზმარსაც ბევრნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს, მაგრამ ამ სიზმრებზე მომუშავე ფსიქოლოგები ძირითადად განიხილავენ მას, როგორც შიდაფსიქიკური კონფლიქტის გამოვლინებას და საშიშ პერსონაჟებს ფსიქიკის რომელიღაც მხარის პერსონიფიკაციად მიიჩნევენ. ამიტომ ამ პერსონაჟთან დაპირისპირებას მასთან დიალოგის გამართვა, ურთიერთობის გარკვევა და თანხმობის მიღწევა სჯობია, ამრიგად ფსიქოთერაპევტის ამოცანა იმაშია, რომ როგორმე სიზმრისეული კონფლიქტი სიზმარშივე გადაჭრას, ხოლო საზმარში კონფლიქტის გადაჭრა რეალურ ცხოვრებაშიც რეალურ ეფექტს მოგცემს.

სიზმრის დიალოგის მნიშვნელობას ხაზს უსვამს გერმანელი ფსიქოლოგი პაულ ტოლე, რომელიც ცხადი სიზმრების ტრეინინგებს ატარებს. ადამიანთა უმეტესობა სწავლობს ცხადი სიზმრების ნახვას, რითაც არაცნობიერი კონფლიქტების საკმაოდ ეფექტურ მართვას ეუფლება.

ვისწავლოთ ცხადი სიზმრების გამოწვევა.

ბესიკ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

„ღღეს ჩემი დაბადების ღღეა"

„ᲓᲦᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ. ᲒᲣᲨᲘᲜ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲕᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲡᲐᲓ ᲩᲝᲓᲘᲡ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ – ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲩᲘ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲩᲔᲑᲣᲚᲘ. ᲩᲐᲩ ᲐᲩ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲡᲣᲠ ᲛᲘᲢᲩᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲩᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲩ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ – ᲐᲩᲩ ᲬᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲔᲑᲐ – ᲐᲩᲐᲣᲜᲔᲩᲘ – ᲣᲑᲩᲐᲚᲝᲓ, ᲘᲚ, ᲩᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲩᲕᲘᲐ – ᲐᲩᲩ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲐ, ᲐᲩᲩ ᲛᲬᲧᲘᲜᲡ, ᲐᲩᲩ ᲛᲘᲮᲐᲩᲘᲐ, ᲣᲨᲩᲝ ᲛᲘᲩᲕᲘᲩᲡ ᲓᲐ ᲣᲩᲜᲐᲣᲩ ᲨᲔᲕᲔᲩᲫᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲩᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲩᲛᲝᲚᲔᲡ, ᲣᲨᲔᲩᲝᲜᲐᲡᲐᲓ ᲒᲐᲯᲐᲕᲘᲩᲐᲯᲝᲛ, ᲡᲘᲛᲓᲣᲠᲘᲐᲜᲘᲗ – ᲡᲐᲛᲓᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲠᲩᲔᲛᲝᲜᲘᲗ, ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲩᲐᲐᲛ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲓ ᲒᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲓᲔᲑᲘ ᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲨᲝᲩᲚ. ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲘᲠᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲣᲩᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲔ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲘᲗ ᲐᲘᲡᲢᲘᲒᲝᲩᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲩᲖᲔ, ᲝᲩᲐᲡ-ᲝᲩᲐᲡᲘ ᲒᲩᲐᲛᲘ ᲐᲩᲐᲧᲘ ᲓᲐᲕᲓᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲕ ᲐᲔᲩᲐᲣᲩᲙᲘᲗᲐᲜ ᲔᲩᲝᲗᲐᲓ.

არ ვიცი ვის ვუთხრა, რომ ჩემი დაბადების დღეა - ისე მინდა ვინმე იყოს ჩემთან - სამარცხვინოდ ნაზი ვხდები ამ დროს - საწყალი დედა, ვიცი, ერთი წამიც არ ავიწყდება, რომ მე 24 წლის გავხდი, მაგრამ რა ქნას, მე ჩემი მისამართიც კი არ მივწერე. მაინც ქვეყანაზე კარგი მეტია, ლამაზი. ამაზე უშნო, რაც აქ არის, არ შეიძლება იყოს. ყველაზე ცუდი აქ ის არის, რომ ნამდვილად ცუდი არავინ არის და არც აქვთ ამის უფლება, ისე არიან წვრიმალები, რამდენი დღეა უკვე ხელი მექავება, რომ კისერში წავუსვა ჯემალს აგდებულად და თავს ვიკავებ, რამდენადაც მეტს განვიცდი შინაგანად, იმდენად ნაკლებს ვამჟღავნებ, ვექცევი რაც შეიძლება ზრდილობიანად, თითქმის როგორც დედას შვილი ან ისე, როგორც ბოროტი - საერთოდ ვერ მივაგენი ჩემ ბუნებრივ მდგომარეობას, ის (ბუნებრივი მდგომარეობა) თითქოს თავისთვის არის სადღაც და არასოდეს არა მტოვებს -სხვის თვალში და ჩემს გულში, ამიტომ არის, ალბათ, რომ რაც გინდა ცუდი გავაკეთო, არავინ არა მთვლის ბოროტად და თავის მომაბეზრებლად.

რა ცუდია, რომ არ შეიძლება ყველაფრის ჩაწერა, რასაც გრძნობ, ან იმის ჩაწერა მაინც, როცა ძილს აპირებ, ან გაღვიძებისას, მაშინ ფიქრი განსაკუთრებით აბსტრაქტულია, ისევე როგორც სიცხეზე (ერთის გამოკლებით, რომ ჩრდილში გინდა დაჯდომა) და ამიტომ რჩება სხვადასხვა ცხოვრება და ხელოვნება - ამათი შეთავსება არის ჩემთვის ყველაზე ძნელი, ამიტომ ვწერ მე თვითონ მწერალზე, თითქოს მიკვირს საერთოდ ეს ფაქტი ჩემს თავში, ალბათ, ასევე იყო ტოლსტოი - ოღონდ მან დაძლია ეს გაკვირვება ლიტერატურაში ცხოვრების ხარჯზე და მისი ცხოვრება იქცა ლიტერატურად, ხოლო ცხოვრება საშინელ პროზად და ის, 89 წლის მოხუცი, დარჩა მარტო და, თითქმის ახალი ქრისტე, ძველივით ეცვ'ა ჯვარზე, მემკვიდრეობაში სიკეთისა და სიდიდის, სივრცის ახალი გაგების დატოვების შემდეგ.

მე მაქვს ყველა ღირსება, რომ არ ვიყო, უბრალოდ, კარგი მწერალიც კი, ოღონდ უკვე აღარ შემიძლია გაჩერება, მე ვერ ავალ ტოლსტოის სიმაღლემდე, ჩემი გზა კი ის არის და, თუ იქამდე ვერ ავალ, მაშინ არ ვიქნები არაფერი, უბრალო კარგი მწერალიც კი, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩემს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, გადამწყვეტი მნიშვნელობა - მე მინდა ვიყო ბედნიერი მცხოვრები ამ მიწისა - ჰო, წყნარი და ბედნიერი, - რაც ყველაზე ნაკლებად გამომდის. დავუბრუნდები აქაურ ამბებს.

ვზივარ მზეზე, ვგრძნობ, როგორა მწვავს კანს, მაცვია ბატინკები და ბუტილკა შარვალი, ხოშიანადა ვგრძნობ თავს, რომ მთხოვო, არ წავალ არსად, ასე კმაყოფილი დიდი ხანია არ ვყოფილვარ - ეშმაკმა წაიღოს, ნეტა ესეც არ მომწყინდეს ჩქარა, ახლა წავალ, სარკეში ჩავიხედავ, როგორა ჩანს შარვალი და გაშავებული, უკვე კუნთებასხმული ტანი ერთად. ალბათ იმიტომა ვარ ასე კმაყოფილი, რომ ჩემ თავს პატიმრობანას ვეთამაშები, ისე კი, როცა მინდა, მაშინ შემიძლია ავითესო ან 15 დღეში მაინც წავალ, აქედან წავალ, მაგრამ სად უნდა გავექცე თბილისს, მოსკოვს, სად? როდის? როგორ? რას? რას? რომ ვიცოდე, რა მინდა, რას მივურბივარ, კიდევ ჰო, - ოჰ, ღმერთო ჩემო, - უკვე ეწყობიან სადილზე, რა სიამოვნებით ვჭამ მჟავე ბორშჩს და გრეჩიხას ჯართან ერთად, წეღან წერეთელმა მკითხა, რას ინატრებდიო ახლა, მე არ მიხუმრია, სრული სერიოზულობით ვთქვი:

- გრეჩიხის ფაფას, - ყველამ გაიცინა. მე სულაც არ გამკვირვებია, რომ გაიცინეს. აქ ჩემთვის გარკვეული თავისუფლებაა ჩემი თავისგან მაინც, სხვებისთვის კი ტანჯვაა.

მომაგონდა როგორ მიყვარს დედა, მომინდა ლოყა ლოყისთვის მიმედო მისთვის, მომაგონდა ის გოგოც და მომაგონდა გიგი, არაჩვეულებრივი სიცხადით ვიგრძენი ყველა სუსტი, მე თვითონ ისე დავსუსტდი სულ ერთ საათში, საწოლში ვერ გავძელი, დავდიოდი დერეფანში, არ მინდოდა გამეღვიძებინა წერეთელი.

ერთი საზიზღარი ჩვეულება მაქვს, რასაც ვაკეთებ, ვერაფერს ვერ ვაკეთებ გულით, ყოველთვის მგონია, რომ მე ძირითადი სხვა მაქვს. როცა ვწერ, მაშინ ძირითადი ჩემი ბიჭობაა, როცა ვთამაშობ - წერა, რა არის ძირითადი? არც ერთი! აბა რა? რა? - არ ვიცი".

4 ივლისი. 1958 წელი

გურამ რჩეულიშვილი

* * *

მწერალი გურამ რჩეულიშვილი ორი წლის შემდეგ, 26 წლის ასაკში დაიღუპა გაგრაში დასვენების დროს, როდესაც მღელვარე ზღვაში გადაეშვა უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენად.

მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობა სულ სამ წელიწადს გაგრძელდა,



შვიდი მისი მოთხრობა გამოქვეყნდა: „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, „სათაგური“, „სიყვარული მარტის თვეში“, „ნელი ტანგო“, „თვირთვილა“, „უსახელო უფლისციხელი“ და „სიკვდილი მთაში“. მოთხრობათა პირველი კრებული „სალამურა“ მისი გარდაცვალების შემდეგ 1961 გამოიცა.

რჩეულიშვილის პროზამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება თემატიკის მრავალფეროვნებით, დოკუმენტურთან დაახლოებული სტილით, ტევადი, დაწურული დიალოგებით, თხრობის სიზუსტით. მისი გმირების ახალგაზრდულ სიფიცხესა და ქედუხრელობას, ვნების სიმძაფრესა და პირველაღმომჩენის ჟინს ერწყმის დიდი ადამიანური სილბო და შემწყნარებლობა. მისმა მცირე ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ (მოთხრობები, ნოველები. მინიატურები, პიესა) დიდი კვალი დაამჩნია ქართული პროზის განვითარებას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ, რუსულ ენებზე.

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1956 WELI

• SAMOMXMAREBLO KOOPERACIIS MUSAKTA VALIA DROULAD UZRUNVELYON SABWOTA MOQALAQEEBIS GAZRDILI MOTXOVNILEBA TANSACMELZE, FEXSACMELSA DA PRODUQTEBZE, ASEVE FARTO MOXMAREBIS SAGNEBZE. MAGRAM, SAMWUXAROD, WITELWYAROS RAIONIS SOFEL ZEMO QEDIS SOFLIS KOOPERATIVIS MUSAKEBMA DREMDE VER SESZLES DAEKMAYOFILEBINAT ARXILOSKALOS MOSAXLEOBA PIRVELI MOXMAREBIS SAGNEBITAC KI. ARXILOSKALOELI KOLMEURNEEBI GULISTKIVILIT ARNISNAVEN, ROM MARAZIASI MEORE WELIA, RAC BAVSVIS FEXSACMELEBI AR MOUTANIAT, ARADA SXVA SASOFLO MARAZIEBSI GAIYIDA. AM MARAZIASI KI AR ARIS SAKONDITRO NAWARMI DA SXVA. QEDIS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM YURADREBA UNDA MIAQCIOS ARXILOSKALOS MACXOVREBLEBIS SAMARTLIAN MOTXOVNAS DA DROULAD ARMOFXVRANES WARMOUDGENELI NAKLOVANEBANI.

• `SSR KAVSIRIS MINISTRTA KABINETIS DADGENILEBIT _ MASWAVLEBELTATVIS SERAVATEBISA DA UPIRATESOBIS MINIWEBIS SESAXEB SASOFLO SABWOEBIS ARMASKOMEBS EVALEBAT SOFLIS MASWAVLEBLEBI UZRUNVELYON SACXOVREBELI BINEBIS GATBOBA-GANATEBIT DA SAKARMIDAMO NAKVETEBIT. SASOFLO SABWOEBIS ARMASKOMEBI DREMDE USULGULOD EKIDEBIAN MIS SESRULEBAS. IMIS GAMO, ROM ARXILOS KALOSI AR ARSEBOBS MASWAVLEBELTA SAXLEBI, TVITOEULI MASWAVLEBELI QIRAOBS OTAXS DA YOVELTVIURAD IMAZORJER MET TANXAS IXDIS BINIS QIRASIRASAC MAS SAXELMWIFO UXDIS KOMUNALURI DAXMAREBIS SAXIT. GARDA AMISA AR ZRUNAVEN AM BINEBIS GATBOBA-GANATEBISA DA SAKARMIDAMO NAKVETIS GAMOYOFITAOBAZE. ASE GAGRZELEBA ARAR SEIZLEBA. MASWAVLEBELTA SAMARTLIAN MOTXOVNA YURADREBA UNDA MIEQCES,~ - ATYOBINEBS REDAQCIAS ARXILOSKALOS SASUALO SKOLIS DIREQTORI A. CAKASVILI.

1977 WELI

• QALAQ WITELWYAROS KINOTEATRSI TURQULI FILMI `MXURVALE MIWA~ GADIS. IS RARIBI COLQMRIS TRAGIKULBEDZE MOGVITXROBS. SIRVANI DA MISI MEURLE DREDARAM SROMOBEN, MATI CXOVREBA KI WIN ARMIDIS. BOLOS DARWMUNDNEN UTAVBOLO SROMIS UAZROBASI. GAYIDES NAKVETI DA BORANIS GAKETEBAS APIREBEN. MAGRAM ADGILOBRIVI BOBOLA CELO FXIZLADAA DA OMS UCXADEBS SIRVANS. TU ROGORMTAVRDEBA TURQULI KINO, ES WITELWYAROEL KINOMOYVARULEBS SEUZLIAT TVIS BOLOMDE NAXON FARTO EKRANZE KINOTEATRSI.

• FOSTALIONMA GIORGI BUCUKURS WERILI GADASCA. ARXILOSKALOELI KOLMEURNES SIXARULS SAZRVARI AR HQONDA. SVILIS WERILI EGONA. SWRAFAD GAXSNA, MAGRAM RUSULI BARATI DAXVDA. SAMXEDRO NAWILIS METAURI GIORGIS DA MIS MEURLES MADLOBAS UZRVNIDA SVILIS KARGAD ARZRDISTVIS. BARATI ITYOBINEBODA, ROM ZURAB BUCUKURI KETILSINDISIERAD ASRULEBS MASZE DAKISREBUL AMOCANEBS DA DISCIPLINITAC GAMOIRCEVA. WERILMA ARA MARTO MSOBLEBI, MISI MEURLE ZOIAC GAAXARA. ISINI AMAYOBEN, ROM ZURABI MXEDRUL MOVALEOBAS PIRNATLAD DAASRULEBS DA OJAXS VALMOXDILI DA SAXELOVANI DAUBRUNDEBA.

1979 WELI

• SOFEL MIRZAANSI N. FIROSMANASVILIS SAXLMUZEUMIS SAEQSPOZICIO DARBAZI GAIXSNA. ASETI XALXMRAVLOBA NIKALAS SOFELS DA MIS KAR-MIDAMOS AR AXSOVS. DILIDANVE SOFLIS GZEBI DA BILIKEBI XALXIT GAIVSO. PATARZALIVIT TETR KABASI GAMOWYOBIL MUZEUMTAN, ROMLIS XORCSESXMAC SAQARTVELOS SAMXATVRO AKADEMIIS ARQITEQTOR GURAM BAQRAZES EKUTVNIS, RAMDENIME ATASMA ADAMIANMA MOIYARA TAVI. STUMREBI CAMOVIDNEN MOSKOVIDAN, FEDERACIULI DA DEMOKRATIULI GERMANIIDAN, SAFRANGETIDAN. ASEVE, KAXIS RAIONIS SOFEL ALIBEGLOS SKOLIS DIREQTORI BORIS ATANASVILI. LENTI GAWRA DA SAEQSPOZICIO DARBAZIS KARI PIRVELMA SEARO SAXALXO MXATVARMA LADO GUDIASVILMA. SAQARTVELOS SAXELMWIFO MUZEUMMA AXAL DARBAZSI NIKALAS 60-ZE METI ORIGINALI GAMOFINA. SEMDEG SEDGA MITINGI DA SITYVIT GAMOVIDNEN ROGORC WITELWYAROS DEPUTATEBI, ISE SKOLIS MOSWAVLEEBI, SAXLMUZEUMIS DIREQTORI ANZOR MAZRARASVILI DA GERMANELI MXATVARI HERBERT LANGE. MUZEUMIS GAXSNA DID SAXALXO DRESASWAULAD GADAIQCA. STUMREBS GULUXVAD MASPINZLOBDNEN MIRZAANELEBI DA MACXAANELEBI. SEMDEG FILARMONIISA DA ADGILOBRIVI ZALEBIT KONCERTI GAIMARTA.

• ADRE WITELWYAROSI, AVTOBUSEBIS GACEREBASTAN ARSEBOBDA SASADILO. XSIRI KRITIKIS SEMDEG IS GAAUQMES DA AXALI WAMOWIMES. MOSAXLEOBAM ISEV AFRINA TXOVNIS QARALDEBI, IRBINES SXVADASXVA INSTANCIEBSI, SASADILOS CXVIRWINNU GAGVIXSNITO, MAGRAM RARADS ARAVIN USMINA. AQVEA SAYOFACXOVREBO SAMMARTVELOS SAAMQROEBI, MAT SORIS SAMXATVRO SAAMQRO. SAMXATVROSI ARAFERI MIUGAVS, BNELI DA KETILMOUWYOBELIA, AQ ARAVITARI PIROBEBI AR ARSEBOBS. SAAMQROEBIS WIN DGAS SASADILOS TUALETI, ROMELIC XSIRAD AR IWMINDEBA. SEWUXEBULNI ARIAN SAAMQROSI. QALAQIS AM PATARA KUTXES SERIOZULI MIXEDVA SWIRDEBA. ARCERTI OBIEQTI AQ SESAFERIS ADGILAS AR ARIS..

(STILI DACULIA)



სოფელი მირზაანი. ფიროსმანის ეზო კარ მიდამო დიდი მხატვრის სახელობის დღესასწაულს ზეიმობს – 1979 წ.



წითელწყაროს მეფრინველეობის რეპროდუქტორის მშენებარე ფართო კომპლექსი – 1977 წ.

მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

ხსოვნა

გელა (ლოლიჩი) ლაპიაშვილი



გავიდა უსაზღვროდ ტკივილიანი და ცრემლიანი 40 დღე. ჩემო კეთილო, მოსიყვარულე, ერთგულო ძმავ და კარგო მეგობარო. შენ ხომ ძალიან გიყვარდა შენი ძმისშვილები, ისინი განიცდიან შენს სიკვდილს და ენატრები მათ. რატომ დატოვე შენი 88 წლის დედა და წახვედი? შენ უნდა გაგეცილებინა დედა იმქვეყნად. ალბათ, მიხვედი მამაშენთან. ის ჩემნაირად ვერ მოგივლის. შენ ხომ ინსულტმა დაგინგრია ჯანმრთელობა. დიდი მოვლა გჭირდება, უჩემოდ, ალბათ, მანდაც გიჭირს...

იძინე მშვიდად, შენმა სიკეთემ გაგინათოს გზა სასუფევლისკენ. მე კი, სანამ ცოცხალი ვიქნები, არ მოგაკლებ სანთელ-საკმეველს, ჩემო დიდო ტკივილო.

შენი ტანჯული დედა, ძმა, ძმისშვილები

ივერი ჭუჭულაშვილის ოჯახი თანაუგრძნობს ლალი და დალი გომელაურებს დედის

ლამარა ბენაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვალოდია (ვალიკო) ღორაშვილი, შვილები ზურაბი და ზაალი, რძლები ლიკა და მაია, შვილიშვილები სალომე, რუსუდანი და თორნიკე, შვილთაშვილები თომა, თაია და ალექსანდრე, ძმისცოლები ნანა და ნათელა, ძმისშვილები გოჩა, ეთერი, ილია და თეა, დისშვილი ელენა, სიძე მიშიკო, დისშვილიშვილები თათია, თეონა, ბადრი, ნიკა და ლიკა, ბიძაშვილები მანანა და ნანა, დეიდაშვილები გურამი, მაყვალა, მძახლები ბონდო და ლამარა მწუხარებით იუწყებიან

ელდინო ათანელიშვილ-ღორაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა დედოფლისწყაროში, 22 ივნისს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის ერთგულ მკითხველს ვალოდია (ვალიკო) ღორაშვილს, მეუღლის

ელდინო ათანელიშვილ-ღორაშვილის

გარდაცვალების გამო.

სტიქია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

11 ივლისს, საღამოს, ძლიერმა ქარმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მაწიმის თემში (სოფლები მაწიმი და რაჭისუბანი), 15-მდე საცხოვრებელ სახლს სახურავები გადახადა. ნაწილში წვიმა ჩავიდა და ავეჯთან ერთად დააზიანა ტექნიკაც.

ერთ-ერთი დაზარალებულის, მარიამ გოგოლაძის თქმით, სტიქიის დროს სახლის ჭერი ჩამოინგრა:

„ბავშვები ოთახში იყვნენ, ჭერი რომ ჩამოვარდა... გადავრჩით. სახლს სახურავი აქვს გადახდილი, დაზიანდა კედელიც. ავეჯი და ტექნიკა თითქმის აღარ ვარგა. იმედი გვაქვს ვინმე დაგვეხმარება“.

ქარმა ნაწილობრივ გადახადა სახურავი ლალი კაპანაძის სახლსაც.

„მე ასეთი სტიქია არ მახსოვს, უფრო ქარბორბალა იყო. ჩემი სახლი თუნუქით იყო დაფარული, თუმცა გადახადა. ჩახერგილი იყო აქაურობა. ზარალი საკმაოდ დიდია“, - ამბობს დაზარალებული.

მაწიმის თემის სოფლებში მოგლეჯილია ათეულობით ხე და ელექტროენერგიის ბოძები. ნაქცეულმა ხეებმა დააზიანა საფლავებიც.

სიმინდისა და საზამთროს ბაღები თითქმის სრულად არის დაზიანებული. ქარმა ხეები მოგლიჯა საბავშვო ბაღის ეზოშიც. დაზიანდა ატრაქციონები.

ლაგოდეხის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ სოფლებში უკვე მუშაობენ ზარალის დამთვლელი კომისიის წევრები და დღის ბოლოს ეცოდინებათ, ვინ რა სახის ზიანი მიიღო.

„საბოლოო მონაცემები რომ გვექნება, მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა ფორმით დავეხმარებით დაზარალებულ მოსახლეობას. წელს სტიქიამ ძალიან დაგვაზარალა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში 500-მდე საცხოვრებელ სახლს ჰქონდა გადახდილი სახურავი. მათ უკვე დავეხმარეთ გადასახური მასალებით. ახლაც იქნება დახმარება“, - ამბობს ჯონდო მდივნიშვილი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ათამდე სოფელი სტიქიამ 22 ივნისსაც დააზარალა. სეტყვამ ყურძნის, თხილის, სიმინდისა და ბოსტნეულის ნარგავების 80-90 პროცენტი გაანადგურა. მთავრობის გადაწყვეტილებით, სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანის გამოსასწორებლად ბიუჯეტიდან თანხა გამოიყო.

იყალთოსა და ალავერდის ტაძრის რესტავრაცია მიმდინარეობს

საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იგეგმება იყალთოს საეკლესიო არქიტექტრული კომპლექსის რეაბილიტაცია. მასშტაბური სამუშაოებისთვის 3 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. იყალთოს საეკლესიო არქიტექტურული კომპლექსი ირაკლი კობახიძესთან ერთად საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოინახულეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე იყალთოს საეკლესიო არქიტექტურულ კომპლექსში იმყოფებოდა. მთავრობის მეთაურს აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა უმასპინძლა. პრემიერმა ეკლესია და იყალთოს აკადემიის ტერიტორია დაათვალიერა; ასევე მოისმინა დეტალური ინფორმაცია დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს - იყალთოს საეკლესიო არქიტექტურული კომპლექსის ფერისცვალების გუმბათოვან ეკლესიასა და აკადემიის შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდება. რესტავრაციისას ფერისცვალების გუმბათოვანი ეკლესიის სახურავიდან მოიხსნება კრამიტის საფარი, გასუფთავდება კედლები, დაზიანებული ადგილები შეივსება, გამაგრდება საძირკველი, ტაძრის პერიმეტრზე მოეწყობა სანიაღვრე არხი; დაიწყება აკადემიის კედლების კონსერვაცია, გაკეთდება საყრდენი კედელი. ძეგლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 3 073 219 ლარი“, - აღნიშნულია მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

•აღნიშნული საეკლესიო კომპლექსის გარდა, მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული ალავერდის საკათედრო ტაძრის აღდგენის სამუშაოებიც.

ამ დროისთვის ალავერდის ეპარქიისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნლი სააგენტოს შეთანხმებით მიმდინარეობს ტაძრის გუმბათის ირგვლივ ხარაჩოს აგება, რის შემდეგაც სპეციალისტები გუმბათის რესტავრაციას დაიწყებენ.

„სტიქიით გამოწვეული ზიანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქიტექტორ-რესტავრატორებისა და კონსტრუქტორების ჯგუფმა შეაფასა. ძლიერი ქარის შედეგად გადახდილია გუმბათის თუნუქის საფარი, დაზიანებულია კრამიტის სახურავი, ჩამსხვრეულია ტაძრის დასავლეთი მხარისა და გუმბათის სარკმლები, დაზიანებულია სამრეკლოს თუნუქისა და საეპისკოპოსო სახლის სახურავები, ჩამოშლილია სასახლის აივანი, ტაძრის გუმბათიდან ჩა-მოვარდნილია ჯვარი და დაზიანებულია მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურა.

ალავერდის საკათედრო ტაძარი საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ყველაზე მაღალი ეკლესიაა“, - აღნიშნულია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ივნისში, ალავერდის ტაძრის მიმდებარედ წარმოქმნილმა ქარბორბალამ ალავერდის მონასტრის გუმბათი დააზიანა. უამინდობის შედეგად განადგურდა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაც. თვითმხილველების თქმით თქმით ქარბორბალა ალავერდის ტაძრის მიმდებარედ რამდენიმე წუთი გრძელდებოდა რის შედეგადაც დაზიანდა ტაძრის გუმბათი და სხვა ინფრასტრუქტურა, ასევე გამვლელის ავტომანქანები.

„ნეოლაბი“ — გიწვევთ!

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალში შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

პედიატრის, კარდიოლოგის, ინფექციონისტის, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

26 ივლისს კონსულტაციებს გამართავს კარდიოლოგი ბადრი ზამბახიძე.

27 ივლისს – გინეკოლოგი, გასტროენტეროლოგი და ექოსკოპისტი

კონსულტაცია ფასიანია

ჩაწერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:

0 (356) 20 00 85 ან **596 39 20 00.**

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.



ექსპერტების ვარაუდით, 2024 წელი ბოლო წლებში ყველაზე ცხელი იქნება

ცხელი დღეები დაიწყო და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2024 წელი ყველაზე ცხელი წელი იქნება. ამის პირველ მიზეზად კლიმატის ცვლილება სახელდება, ამასთან, ატმოსფეროში სათბურის აირებს საწვავის მოხმარება ზრდის, რაც საშუალო გლობალური ტემპერატურის ზრდას განაპირობებს. წინასწარი შეფასებით, წელსაც მთელ მსოფლიოში ტემპერატურა 1-2 გრადუსით მოიმატებს. რამდენად ცხელი დღეები გველოდება საქართველოში, ამ კითხვას გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსმა, ხათუნა ქოქოსაძემ უპასუხა.

- ჩვენ ვამბობდით, რომ ივნისში ნორმასთან შედარებით მაღალი ტემპერატურა იქნებოდა და ასეც მოხდა - ყველაზე მაღალი ტემპერატურა უკვე დაფიქსირდა 5 ივნისს ქუთაისში - 37 გრადუსი. ივნისში აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მაღალი 35 გრადუსი იყო, ასეთივე ტემპერატურა იყო რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისშიც. ამ ზაფხულს ტემპერატურა საქართველოში 1-2 გრადუსით მაღალი იქნება ნორმასთან შედარებით, ნალექი კი ნორმის ფარგლებში. ცალკეულ დღეებში დაბლობსა და ბარში შესაძლებელია ტემპერატურის მომატება 39-42 გრადუსამდეც კი. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში 37-40 გრადუსამდე მოიმატებს, მაღალმთიან რაიონებში კი 37-39 გრადუსამდე. მაღალი იქნება ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით ივლისი-აგვისტოს პირველ ნახევარში.

- წვიმები თუ იქნება ივლის-აგვისტოში?

- დიახ, ცალკეულ დღეებში იქნება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთში სეტყვაც არის მოსალოდნელი. როცა ასეთი მაღალია ტემპერატურა, გადახურებულ ზედაპირზე შემოდის შედარებით გრილი ჰაერის მასა და ღრუბლების გააქტიურებას იწვევს, ასეთი ღრუბლებისთვის კი თავსხმა ნალექი და სეტყვაა დამახასიათებელი.

- წყალმოვარდნები მოსალოდნელია?

- თუ ძლიერი ნალექი იქნება, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს მდინარეებზე. თუმცა ეს ჰიდროლოგებისთვის რთული საპროგნოზოა იმ თვალსაზრისით, რომ თუ ამას წინ უძღვის ძალიან მშრალი პერიოდი, მაშინ ერთმა ძლიერმა წვიმამ შეიძლება ძალიან არ იმოქმედოს მდინარეებზე, თუ იქ ნიადაგი უკვე შემზადებული არ არის...

მაგალითად, შარშან გადაბმულად 39 გრადუსი იყო თითქმის ერთი კვირის განმავლობაში... იმ ზაფხულს შოვში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. მართალია, მარტო წვიმის გავლენა არ ყოფილა, გეოლოგიური ფაქტორებიც იყო, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წვიმამაც პროვოცირება მოახდინა. მსგავსი ტრაგედიისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ძლიერ წვიმებს თუ ნიადაგიც მომზადებული დახვდა, ეს, რა თქმა უნდა, მდინარეებზე გავლენას ახდენს.

- ამ დღეებში რიკოთზეც ძლიერი წვიმის შედეგად უზარმაზარი მასა ჩამოიშალა. მსგავსი საშიშროება არსებობს?

- ძალიან წვიმიანი პერიოდი უფრო ივნისისთვის არის დამახასიათებელი, რადგან გაზაფხულის უხვი ნალექი ივნისს უფრო გადმოჰყვება ხოლმე.

- ზაფხულის არდადეგები დაიწყო და ზღვის სეზონისთვის ბევრი ემზადება, ზღვის კურორტებზე როგორი ამინდი იქნება?

- როგორც აღვნიშნე, მთლიანად საქართველოში ნორმასთან შედარებით მაღალი ტემპერატურაა მოსალოდნელი. საკურორტო რეგიონებშიც, ზღვის სანაპირო იქნება თუ მთიანი და მაღალმთიანი რეგიონები, ყველგან მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდება. ასე რომ, ზაფხული ცხელი იქნება.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

ულოცავენ!

ნიკა ჩიხლაძეს !

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრს, ბუდაპეშტის კორნივუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს უაღრესად კულტურულ და განათლებულ ადამიანს ნიკას ვულოცავთ დაბადების დღეს - 15 ივლისს!

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია.

იყიდება!

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 15.07	სამშაბათი 16.07	ოთხშაბათი 17.07	ხუთშაბათი 18.07	პარასკევი 19.07	შაბათი 20.07	კვირა 21.07
დღე	30 °	30 °	30 °	30 °	29 °	29°	30 °
ღამე	18 °	19 °	19 °	18°	18 °	18 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი